ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №246196

ნომერი: AR163355

თარიღი : 03.07.2012

გაცემის თარიღი : 11.07.2012

გაცნობის თარიღი : 17.07.2012

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , გრიშაშვილის, ახუნდოვის და ფირდოუსის ქუჩებს შორის;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ლეილა ღვანიძე პ/ნ 01010001311
- თბილისი ძმ.ზუბალაშვილების ქ. N 3/5/7

ნომენკლატურა :

- მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი
- III კლასი
- ვადაგაუსვლელი
- მშენებლობის ნებართვა

.სატიტულო ინფორმაცია.:

- .ფუნქციური დანიშნულების სახეობა.: მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი
- .ორგანიზაცია (არსებობის შემთხვევაში).: შპს,,ლაზათი და კომპანია"
- .მთავარი არქიტექტორის/სპეციალისტი სახელი და გვარი.: თეიმურაზ ღვანიძე
- .საიდენტიფიკაციო კოდი.: 204393771

.დამკვეთის ინფორმაცია.:

- .დამკვეთ(ებ)ის სახელი და გვარი.: იბი ,,აბანოთუბანი 2006", თავმჯდომარე ლეილა ღვანიძე
- .დამკვეთ(ებ)ის პირადი ნომერი.: 01010001311

.მშენებლობის ნებართვის რეკვიზიტები.:

- .მშენებლობის ნებართვის ბრძანების ნომერი. : ნ/1748
- .მშენებლობის ნებართვის ბრძანების თარიღი. : 4.07.2011

ქ. თბილისის მერიის სსიპ ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურის პროექტის შეთანხმებისა და სანებართვო მოწმობის გაცემის შესახებ 2011 წლის 4 ივლისის N01/1658 ბრძანებასა და Nნ/1748-1 მშენებლობის სანებართვო მოწმობაში მშენებლობის დასრულების თარიღში ცვლილების შეტანის შესახებ

ქ. თბილისის მერიის სსიპ ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურის მიერ 2011 წლის 4 ივლისს N01/1658 ბრძანებით შეთანხმდა ქ. თბილისში, ძველი თბილისის რაიონში (სექტორი - კრწანისი), გრიშაშვილის, ახუნდოვის და ფირდოუსის ქუჩებს შორის ი.ბ.ა. "აბანოთუბანი 2006"–ს საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის კორექტირებული არქიტექტურული პროექტი და გაიცა Nნ/1748-1 მშენებლობის სანებართვო მოწმობა, რომელიც ძალაში იყო 2012 წლის 10 ივლისის ჩათვლით.

2012 წლის 3 ივლისს AR163355 განცხადებით მოგვმართა მოქ. ლ. ღვანიძემ, რომელიც ითხოვს მშენებლობის ნებართვის ვადის გაგრძელების მიზნით 2011 წლის 4 ივლისის N01/1658 ბრძანებასა და Nნ/1748–1 მშენებლობის სანებართვო მოწმობაში მშენებლობის დასრულების თარიღში ცვლილებების განხორციელებას.

სამსახურმა განცხადების განხილვის შედეგად გადაწყვიტა, რომ მოთხოვნა საფუძვლიანია და

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 63-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "კულტურული მემკვიდრეობის შესახებ" საქართველოს კანონის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის #4-13 გადაწყვეტილების თანახმად

ვბრძანებ

1. შევიდეს ცვლილება ქ. თბილისის მერიის სსიპ ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2011 წლის 4 ივლისის N01/1658 ბრძანებასა და Nნ/1748-1 მშენებლობის სანებართვო მოწმობაში, კერძოდ, "ნებართვა ძალაშია 2012 წლის 10 ივლისის ჩათვლით", შეიცვალოს "ნებართვა ძალაშია 2012 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით";

2. წინამდებარე ბრძანება განხილულ იქნეს ქ. თბილისის მერიის სსიპ ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2011 წლის 4 ივლისის N01/1658 ბრძანებასა და Nნ/1748-1 მშენებლობის სანებართვო მოწმობასთან ერთად.

• აღნიშნულის შესახებ დადგენილი წესით ეცნობოს დაინტერესებულ მხარეებს და ქ. თბილისის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურს.
• ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მერიაში (მისამართი - ქალაქი თბილისი, ჟ. შარტავას ქ. #7), დაინტერესებულ მხარეთათვის ოფიციალური წესით გაცნობიდან ან გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში.